საექსპერტო დასკვნა

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი „Tbilisi Gardens”

ასათიანის ქუჩა №10

(ს/კ 01.10.15.014.025)

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის–"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას. საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების **(ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის დოკუმენტაცია)** საფუძველზე 47-ე მუხლით (მუხლი 47."არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი და **საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-13 მუხლით** განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი. საექსპერტო დასკვნა შედგენილია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №256 დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე.

შემსრულებელი: **დავით იოსელიანი**

თბილისი.
2023 წელი.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ასათიანის ქუჩა №10-ში (ს/კ 01.10.15.014.025), მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“.

ქ. თბილისში, ასათიანის ქუჩა №10-ში (ს/კ 01.10.15.014.025), მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შეასრულა არქიტექტორულმა კომპანია **შპს „არტსტუდიო პროექტ“-მა**.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ე მუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

1. შენიშვნები

შენიშვნა №	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში

გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი №	განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2. შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე.

პროექტის აღწერილობა

პროექტის მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში ასათიანის ქუჩა №10-ში საცხოვრებელი კომპლექსის ტერიტორიის განვითარების კონფცეფციის მიხედვით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაგეგმარება თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა - ნაგებობის უსაფრთხოების წესების დაცვით.

წინამდებარე პროექტი დამუშავებულია თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, 2022 წლის 25 ნოემბერს გაცემული №625 ბრძანების თანახმად შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტიდან გამომდინარე.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ასათიანის ქუჩა №10-ში (ს/კ 01.10.15.014.025), ნაკვეთი 14/012. ტერიტორიის ფართობი შეადგენს 5424.0 კვ.მ-ს და გამოირჩევა მკვეთრი ქანობის მქონე რელიეფით, მიწის ნაკვეთზე რელიეფის მაქსიმალურ და მინიმალურ ნიშნულებს შორის სხვაობა შეადგენს 5,47 მეტრს. ტერიტორიას სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება, ბაღი და შიდა საუბნო-საავტომობილო გზა, აღმოსავლეთის მხრიდან ასათიანის ქუჩა და კერძო მიწის ნაკვეთი (ეკლესიის ტერიტორია), ჩრდილოეთის მხრიდან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, ხოლო დასავლეთის მხრიდან გრგ-ს არეალის ტერიტორია. ტერიტორიაზე მთავარი საავტომობილო და საფეხმავლო შესასვლელი მდებარეობს ასათიანის ქუჩის მხრიდან.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

საპროექტო შენობა შედგება 30 მიწისზედა და 2 მიწისქვეშა სართულისგან. მიწისქვეშა სართულებზე (-3.50 და -6.50 ნიშნულები) პროექტის მიხედვით იგეგმება შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟების მოწყობა, სასაწყობო, საინჟინრო და მექანიკური მოწყობილობების ოთახებთან ერთად.

საპროექტო დოკუმენტაციიდან გამომდინარე შენობაში საერთო ჯამში განთავსდება 188 საცხოვრებლი ერთეული(ბინა), ხოლო ავტოსადგომების სართულებზე და ეზოში მოეწყობა ჯამში 188 ავტოსადგომი ადგილი, რაც აკმაყოფილებს ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება N 4-13-ში (2009 წლის 27 მარტი) ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ, 41-ე მუხლში (საცხოვრებელ ზონებში სატრანსპორტო საშუალებების შენახვა) 1 ქვეპუნქტში წატრმოდგენილ მოთხოვნას - *1. საცხოვრებელ ზონებში მიწის ნაკვეთის და სხვა უძრავი ობიექტების სამშენებლო განვითარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მინიმუმ ერთი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ ერთეულზე.*

ავტოსადგომებზე მთავარი საავტომობილი შესასვლელ/გასასვლელი მოეწყობა "A-D' და „24-25" ღერძებს შორის მაქსიმუმ 9%-იანი ქანობის მქონე პანდუსით, ხოლო სართულებს შორის დამაკავშირებელი საავტომობილო პანდუსი მოეწყობა "A-D" და „13-22" ღერძებს შორის, პანდუსის მაქსიმლაური ქანობი შეადგენს 18%-ს, ხოლო პანდუსის თავსა და ბოლოში მოეწყობა 10%-იანი ქანობის და 3.5 მეტრი სიგრძის გადასასვლელები.

საპროექტო შენობის პირველ, მიწისპირა სართულზე (+/-0.00=472.650 ნიშნული) განთავსდება ლობი, მიმღები, დაცვის ოთახი, საფოსტო სივრცე, ხანძრის მართვის ცენტრი, მომსახურე პერსონალის ოთახი, დამლაგებლის ოთახი, ტუალეტების უჯრედი და ნაგვის კონტეინერის ოთახი, ასევე სამი კომერციული ფართობი საოფისე ფუნქციით, მათ შორის ერთი კომერციული ფართობი დატვირთული იქნება სტომატოლოგიური კლინიკის ფუნქციით. შენობის მთავარი შესასვლელი მოეწყობა დასავლეთის მხარეს განთავსებული შიგა ეზოდან, შესასვლელთან საავტომობილო მისადგომი მოეწყობა შიდა საავტომობილო გზით რომელიც გაივლის შენობის „10-15" და "O-Q" ღერძებს შორის მდებარე თაღის ქვეშ.

საპროექტო შენობის მიწის დონის ზედა სართულებზე მოეწყობა საცხოვრებელი ბინები შემდეგი პრინციპით:

- მე-2-მე-15 სართულებზე (+6.00_+48.90 ნიშნულები) – 8 საცხოვრებელი ერთეული თითო სართულზე
- მე-16-25-ე სართულებზე (+52.20_+81.90 ნიშნულები) – 6 საცხოვრებელი ერთეული თითო სართულზე
- 26-ე-29-ე სართულებზე (+85.20_+95.10 ნიშნულები) – 4 საცხოვრებელი ერთეული თითო სართულზე

საერთო ჯამში შენობაში იგეგმება 188 საცხოვრებელი ერთეულის მოწყობა, ბინის მინიმლაური საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 44.7 კვ.მ-ს (ტერასა 6.2 კვ.მ), ხოლო მაქსიმლაური საცხოვრებელი ფართობი 199.7 კვ.მ-ს (ტერასა 47.5 კვ.მ), თითოეული საცხოვრებელი ერთეული მოიცავს მინიმუმ ერთ 14 კვ.მ ფართობის მქონე საცხოვრებელ ოთახს, მინიმლაური გაბარიტით 3.275 მეტრი (სიგანე). თითოეულ სართულზე, საცხოვრებელი სივრცის ჭერის სიმღალე შეადგენს მინიმუმ 2.90 მეტრს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის სახურავზე მოეწყობა სასმელი წყლის რეზერვუარი, სატუმბი დანადგარების ოთახი, ლიფტების სამანქანო და ტექნიკური ოთახები.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნული **(-0.03=472.60 მეტრი),** შენობის სიმაღლე „მიწის დონის ნიშნულიდან" შეადგენს **98.63 მეტრს,** ხოლო სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს **95.20 მეტრზე.**

საპროექტო შენობას ძირითად გასასვლელ საშუალებად ემსახურება ერთმანეთთან დერეფნით დაკავშირებული ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რომლებიც აღჭურვილია კვამლის საკონტროლო სისტემებით, რადგან საპროექტო შენობა წესების მიხედვით გადის მაღლივი შენობის კატეგორიაში და ბოლო დაკავებული იატაკი სახანძრო სამაშველო დანაყოფის მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან მდებარეობს 37 მეტრზე მაღლა.

საპროექტო შენობის ფასადების ძირითადი ნაწილი მოპირკეთდება ხის ფაქტურის მქონე კომპოზიტური პანელებით, სართულშუა ფილების საფასადე ნაწილი შეილესება და შეიღებება თეთრი ფერის საფასადე საღებავთ, ღიობებში ჩაისმება ალუმინის კარ-ფანჯრები, ხოლო აივნებზე მოეწყობა მინის მოაჯირები.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

საპროექტო შენობის ძირითად სტრუქტურულ სისტემას წარმაოდგენს გაძლიერებული ბეტონის სვეტებისგან შემდგარი კარკასი, პერიმეტრზე დამატებით მოეწყობა გაძლიერებული ბეტონის კოჭები სართულშუა გადახურვის და სახურავის ფილის მასალად ასევე გამოიყენება გაძლიერებული ბეტონი.

შენობისთვის გამოყენებულია ბრტყელი (მინიმალური ქანობით 1.5%), მრავალშრიანი კონსტრუქციის გადახურვა, რომელიც შედგება:

- გაძლიერებული ბეტონის ფილა
- ორთქლიზოლაცია
- თბოიზოლაცია (xps 20 სმ)
- პემზის ფენილი ქანობისთვის (მინ.1,5%)
- არმირებული მოჭიმვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით (5 სმ)
- ბიტუმის პრაიმერი
- ორი ფენა რულონური ტიპის ჰიდროიზოლაცია

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაობი კორექტირებული პროექტის შესაბამისად, თუმცა კვლავ იგეგმება შემდეგი სახის ცვლილებების შეტანა პროექტში, რაც ასახულია სანებართვო და საპროექტო დოკუმენტაციაშია:

-6.50 ნიშნულზე:

- 24-25“ და “P``-P`” ღერძებს შორის მდებარე ტექნიკურ ოთახი გაუქმდება და მის ნაცვლად მოეწყობა ორი სასაწყობო ოთახი.
- 21-22“ და “A``-D``” ღერძებს შორის, საავტომობილო პანდუსის ქვეშ მოეწყობა სასაწყობო ოთახი.

-3.50 ნიშნულზე:

- 24-25“ და “P``-P`” ღერძებს შორის მდებარე ტექნიკურ ოთახი გაუქმდება და მის ნაცვლად მოეწყობა ორი სასაწყობო ოთახი.
- სახანძრო ტუმბოს ოთახი დაგეგმარდება „17-21“ და “P``-P`” ღერძებს შორის მდებარე ტექნიკურ სივრცეში. *(იხილეთ 3.50 ნიშნულის წესებთან შესაბამისობის გეგმა)*

0.00 ნიშნულზე:

- 24-25“ და “A``-D``” ღერძებს შორის, საავტომობილო პანდუსის თავზე არსებული ფილა შეივსება და მოეწყობა დამატებითი მოაჯირი,
- „22-25“ და “A``-P`” ღერძებს შორის, შენობის წინ მოეწყობა დამატებითი ტერასები და გაუქმდება საყვავილეები.
- „20-23“ და “D`-N” ღერძებს შორის მდებარე საოფისე კომერციული ფართობი დაეთმობა სტომატოლოგიურ კლინიკას და შეიცვლება სივრცის შიდა გეგმარება.
- „21-K” ღერძების კვეთაზე მოეწყობა დამტებითი ღიობი და კარი.
- „10-17“ და “A`-F`” ღერძებს შორის მდებარე, საოფისე სივრცე, ფოსტის ოთახი და სანიტარული კვანძი გადაგეგმარდება ფართობების ცვლილებით.
- „10-11“ და “A`-E`” ღერძებს შორის, საოფისე სივრცის წინ მოეწყობა ტერასა.
- „10-14“ და “M-P” ღერძებს შორის, მოეწყობა დამატებითი საოფისე, კომერციული ფართობი, ხოლო მის გვერდით მდებარე ხანძრის მართვის ცენტრის და პერსონალის სირვცეები გადაგეგმარდება, შეიცვლება ლობის და მიმღები სივრცის გეგმარება.

+2.96 ნიშნულზე, „20-23“ და “D`-N” ღერძებს შორის, ასევე „10-17“ და “A`-F`” ღერძებს შორის მდებარე საოფისე, კომერციული ფართობებისთვის მოეწყობა ანტრესოლის სართული.

საცხოვრებელ სართულებზე:

- ყველა სართულზე შეიცვლება საცხოვრებელი ერთეულების (ბინების) ნუმერაციის პრინციპი.
- მე-8 სართულზე (+25.80 ნიშნული) გაერთიანდება N50 და N51 ბინები, შეიცვლება საცხოვრებელი ერთეულის გეგმარება და „12-G” ღერძების კვეთაზე გაუქმდება ღიობი.
- მე-17 სართულზე (+55.50 ნიშნული) N119 ბინა გაიყოფა ორ საცხოვრებელ ერთეულად, „15-F`” ღერძების კვეთაზე მოეწყობა დამატებითი ღიობი და კარი, შეიცვლება გეგამარება.
- მე-18 სართულზე (+58.80 ნიშნული) N125 ბინა გაიყოფა ორ საცხოვრებელ ერთეულად, „15-F`” ღერძების კვეთაზე მოეწყობა დამატებითი ღიობი და კარი, შეიცვლება გეგამარება. ამავე სართულზე, შეიცვლება N129 და N130 ბინების გეგმარება ფართობის ცვლილებით.
- 23-ე სართულზე (+75.30 ნიშნული) გაერთიანდება N159 და N160 ბინები, შეიცვლება საცხოვრებელი ერთეულის გეგმარება და „21-H” ღერძების კვეთაზე გაუქმდება ღიობი.

სახურავზე (+98.60 ნიშნული) შეიცვლება ტექნიკური, საინჟინრო მოწყობილობებისთვის განკუთვნილი ოთახების კონკრეტული ფუნქციები, კერძოდ:
სახანძრო წყლის რეზერვუარები ჩანაცვლდა სასმელი წყლის რეზერვუარის სივრცით, გადაინაცვლა წყლის ტუმბომ და მოეწყო დამატებითი ტექნიკური ოთახები გამოთავისუფლებულ სივრცეში.

სხვა დამატებითი ცვლილებები:

- საპროექტო ეზოში მოეწყობა გენერატორის განთავსების ადგილი.
- საპროექტო ეზოში გაიზრდება კალათბურთის მოედანის ზომები და გადაადგილდება მაყურებელთა დასაჯდომები. ავტოსადგომი სართულებიდან ამომავალი კიბის უჯრედის წინ მოეწყობა სასაწყობო ოთახი სპორტული ინვერტარისთვის.
- საპროექტო ეზოში შეიცვლება ავტოსადგომი სართულების მომსახურე, სავენტილაციო/კვამლგამწოვი ცხაურების განთავსების ადგილი და მდებარეობა.
- შენობის ცენტრაულ ბირთვში გაუქმდება „17-19“ და „L-O“ ღერძებს შორის მდებარე ნაგვის ოთახი და მისი მომსახურე მილი(შახტი), „14-15“ და “H” ღერძების კვეთაზე არსებულ შახტის კედელში მოეწყობა ღიობი და 90 წთ ცეცხლმედეგობის მქონე კარი, „14-J“ ღერძების კვეთაზე ლიფტის და კიბის უჯრედის დამკავშირებელ ტამბურში გაუქმდება დამატებითი კედელი და კარი.

- **ძირითადი ნაწილი**

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია სასაწყობო **(სწ-2 და სწ-1),** საქმიანი **(სქ),** თავშეყრის **(თვ-3)** და საცხოვრებელი **(სც-2)** ჯგუფის დაკავებულობები, კერძოდ:

1. სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი -6.50 და -3.50 ნიშნულზე, სასაწყობო, სატუმბი დანადგარების და მექანიკური მოწყობილობების ოთახები, წყლის რეზერვუარი -6.50 ნიშნულზე) წესების **311.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხების წესების **509.2 ქვეთავის** მიხედვით სატუმბი დანადგარების და მექანიკური მოწყობილობების ოთახები, როგორც თანხმლები გამოყენებები კლასიფიცირდება როგორც **სწ-2 ქვეჯგუფის** დაკავებულობა, რომლებიც აკმაყოფილების წესების **509.3 ქვეთავის** მოთხოვნებს დასაშვებ ფართობთან დაკავშირებით.

სწ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **18.6** (ავტოსადგომი გარაჟები) და **27.9** (დამხმარე სათავსები, მექანიკური მოწყობილობების ოთახები) წესების **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს:

- -6.50 ნიშნული - **189 დამკავებელი** ჯამურად
- -3.50 ნიშნული - **187 დამკავებელი** ჯამურად

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, ავტოსადგომი გარაჟები **(სწ-2)** მის ზემოთ მდებარე თავშეყრის **(თვ-3)** და საქმიანი **(სქ)**ჯგუფის დაკავებულობებისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები, ასევე აკმაყოფილებს წესების **406.9.3 ქვეთავის** მოთხოვნებს ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომებთან დაკავშირებით - თითოეული ავტოსადგომის ადგილის სიგანე და სიგრძე შეესაბამება მოთხოვნილ მინიმუმს - 2.5X5.5 და 2.5X6.5 მეტრი. ავტოსადგომზე საავტომობილო გზის სიგანე მოწყობილია წესების **406.9.4.1 ქვეთავის** შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ავტოსადგომში შესასვლელ/გასასვლელი მოეწყობა "A-D' და „24-25" ღერძებს შორის მაქსიმუმ 9%-იანი ქანობის მქონე პანდუსით, ხოლო სართულებს შორის დამაკავშირებელი საავტომობილო პანდუსი მოეწყობა "A-D" და „13-22" ღერძებს შორის, პანდუსის მაქსიმლაური ქანობი შეადგენს 18%-ს, ხოლო პანდუსის

თავსა და ბოლოში მოეწყობა 10%-იანი ქანობის და 3.5 მეტრი სიგრძის გადასასვლელები. პანდუსების სუფთა სიგანე შეადგენს 6.5 მეტრს, ხოლო საავტომობილო გზის მინიმალური სიგანე 3.5 მეტრს.(განსაზღვრულია ცალმხრივი მოძრაობა) პანდუსები მოწყობილია წესების **406.9.4.4. ქვეთავის** მიხედვით. ავტოსადგომი ადგილების ზომები, განლაგება და გასავლელები გათვალისწინებულია წესების **406.9.4.3.1 და 406.9.4.3.2** ცხრილების შესაბამისად..
საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით -6.50 და -3.50 ნიშნულზე მდებარე საინჟინრო და მექანიკური მოწყობილობების ოთახები (სატუმბი დანადგარის და წყლის რეზერვუარის ოთახები) დამატებით აკმაყოფილებს წესების **913.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს და სხვა ფართობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ზღუდეებით.

2. სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-1 (ნაგვის ოთახი 0.00 ნიშნულზე) წესების 311.2 ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც წვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება საშუალო საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.

სწ-1 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **27.9** (დამხმარე სათავსები, მექანიკური მოწყობილობების ოთახები) წესების **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 1 დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, ნაგვის ოთახი **(სწ-1)** მომიჯნავედ მდებარე საქმიანი **(სქ)** ჯგუფის დაკავებულობებისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური კედელი) თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. საქმიანი ჯგუფი **სქ** (საოფისე ფართობები, ხანძრის მართვის ცენტრი, პერსონალის სივრცე +/- 0.00 ნიშნულზე, საოფისე ფართობები +2.96 ნიშნულზე) წესების **304.1** ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის, ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით საქმიან ჯგუფს მიეკუთვნება, საპროექტო შენობის +/- 0.00 ნიშნულზე მდებარე დაცვის ოთახი/ხანძრის მართვის ცენტრი, პერსონალის ოთახი და სამი დამოუკიდებელი, კომერციული დანიშნულების(საოფისე ფუნქციით) ფართობი, მათ შორის ერთი სტომატოლოგიური კლინიკის ფუნქციით.

უნდა აღინიშნოს, რომ კორექტირებული სანებართვო დოკუმენტაციის მიხედვით **+2.96 ნიშნულზე, „20-23“ და “D`-N” ღერძებს შორის, ასევე „10-17“ და “A`-F`” ღერძებს შორის მდებარე საოფისე, კომერციული ფართობებისთვის მოეწყობა ანტრესოლის სართულები,** თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **505.2.1 ქვეთავის** თანახმად: *„ანტრესოლი ან ანტრესოლების საერთო ფართობი არ უნდა აღემატებოდეს იმ ოთახის ან სივრცის იატაკის ფართობის ერთ მესამედს, რომელშიც ისინი მდებარეობს“, და* რადგან +2.96 ნიშნულზე მდებარე საოფისე სივრცეების ფართობი ვერ აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ ფართობის შეზღუდვას, +2.96 ნიშნულზე მოწყობილი ფართობი განიხილება ცალკეულ დამოუკიდებელ სართულად.

სქ ჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **9,3** (საქმიანობის წარმოების (ბიზნესის) ფართობები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს:

0.00 ნიშნულზე

- ოფისი N1 - **5 დამკავებელი**
- სტომატოლოგიური კლინიკა - **24 დამკავებელი**
- ოფისი N4 – **17 დამკავებელი**
- დაცვის ოთახი/ხანძრის მართვის ცენტრი - **5 დამკავებელი.**

+2.96 ნიშნულზე. (დამატებითი სართული)

- ოფისი N4 - 13 დამკავებელი
- სტომატოლოგიური კლინიკა - 21 დამკავებელი

საერთო ჯამში საპროექტო შენობის **სქ** ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **85 დამკავებელს.**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საქმიანი ჯგუფის **(სქ)** დაკავებულობა, მის მომიჯნავედ მდებარე სასაწყობო **(სწ-1)**, თავშეყრის **(თვ-3),** ქვედა სართულზე მდებარე სასაწყობო **(სწ-2)** და ზედა სართულებზე მდებარე საცხოვრებელი **(სც-2)** ჯგუფის დაკავებულობებისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით (ბეტონის ბლოკის წყობა), რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი **თვ-3** (მიმღები, ლობი +/-0.00 ნიშნულზე) წესების **303.4 ქვეთავის** მიხედვით ამ ჯგუფს მიკუთვნებული ადგილები თავშეყრისათვის გამოიყენება, კერძოდ, რელიგიური მსახურების, რეკრეაციის ან გართობისთვის, ასევე, სხვა მიზნით თავშეყრისათვის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული **თვ** ჯგუფის არც ერთ ქვეჯგუფში.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით **თვ-3** ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის (მიმღები და ლობი) განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**1,4** (არაკონცენტრირებული მაგიდები და სკამები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **70** დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, თავშეყრის ჯგუფის **(თვ-3)** დაკავებულობა, მის მომიჯნავედ მდებარე საქმიანი **(სქ)**, ქვედა სართულზე მდებარე **(სწ-2)** ჯგუფის და ზედა სართულებზე მდებარე საცხოვრებელი **(სც-2)** ჯგუფის დაკავებულობებისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ცეცხლმედეგი ბეტონის ბლოკის კედლები), რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-2,** წესების **310.4 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს საცხოვრებელ ან საძინებელი ერთეულებით, სადაც დამკავებლები მუდმივად ცხოვრობენ.

პროექტის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობები განთავსებულია +6.00, +9.30, +12.60, +15.90, +19.20, +22.50, +25.80, +29.10, +32.40, +35.70, +39.00, 42.30, +45.60, +48.90, +52.20, +55.50, +58.80, +62.10, +65.40, +68.70, +72.00, +75.30, +78.60, +81.90, +85.20, +88.50, +91.80, +95.10 ნიშნულებზე განთავსებულ სართულებზე.

საცხოვრებელი ერთეულები დაგეგმარებულია წესების **1208 ქვეთავის** გათვალისწინებით, კემოდ თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება **1208.1 ქვთავით** განსაზღვრულ ოთახის მინიმალური ზომის (სიგრძე/სიგანე) მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური ზომა (სიგრძე/სიგანე) - 3,275 მეტრი), **1208.2 ქვეთავით** განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიმაღლე 2,90 მეტრი) და **1208.4 ქვეთავის** მოთხოვნას კომპაქტურ საცხოვრებელ ერთეულთან დაკავშირებით (ბინის მინიმალური საცხოვრებელი ფართობი 44.7 კვ.მ), ყველა ბინაში გათვალისწინებულია მინიმუმ ერთი არანაკლებ 14 კვ. მ.-ს ოთახი, ასევე საცხოვრებელ ერთეულებში დაცულია წესების მე-12 თავით განსაზღვრული სხვა მოთხოვნებიც შიგა გარემოსთან დაკავშირებით.

სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**18.6** (საცხოვრებელი), **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით, შესაბამისად თითოეულ სართულზე განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა და შეადგენს **49 დამკავებელს.**

საერთო ჯამში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობაში არსებული საცხოვრებელი **(სც-2)** ქვეჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **1421** დამკავებელს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ საცხოვრებელ სართულზე საცხოვრებელი ერთეულების დაკავებულობის დატვირთვას ემატება საერთო გამანაწილებელი დერეფნის, ლიფტების და კიბის უჯრედების დაკავებულობის დატვირთვაც.

თითოეული საცხოვრებელი ფართობი(ბინა) ერთმანეთისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში და 420 ქვეთავში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი **1004,1.2** ცხრილის მიხედვით.

დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით), შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღრულია **I-A** კონსტრუქციის ტიპი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის სტრუქტურა (გაძლიერებულ მონოლითურ ფილაზე მოწყობილი ბრტყელი გადახურვა) აკმაყოფილებს წესების **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს. პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთვაში** აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს მინიმუმ **3 საათს,** სახურავის და იატაკის კონსტრუქციისთვის **2 საათს** და შეესაბამება **601 ცხრილში I-A** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდიანრე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

კონსტრუქციის ტიპების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503-ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან **(I-A)** გამომდინარე. შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

საპროექტო შენობა, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე შეესაბამება მაღლივი შენობის კატეგორიას, რაც გულისხმობს, რომ სახანძრო მანქანის მისადგომიდან ბოლო დაკავებული იატაკის ნიშნული აღემატება 37 მეტრს.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა აკმაყოფილებს **I-A** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შეუზღუდავია.

საპროექტო შენობის შემოთავეზებული სართულიანობაა მიწის ზემოთ **29 სართული** და (მიწისქვეშა 2 სართული) შემოთავაზებული სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით და

შეადგენს **98.63 მეტრს (შენობის სიმაღლე განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნულიდან 472.60 მეტრი),** ხოლო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს 95.20 მეტრზე.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობის ფართობი თითოეული დაკავებულობისათვის შემდგენაირია:

- **სწ-2** ჯგუფის დაკავებულობის ფართობი - **6803.2 კვ.მ (ჯამურად)**
- **სწ-1** ჯგუფის დაკავებულობის ფართობი - **15.5 კვ.მ**
- **თვ-3** ქვეჯგუფის დაკავებულობის ფართობი - **96.8 კვ.მ**
- **სქ** ჯგუფის დაკავებულობის ფართობი - **770.2 კვ.მ**
- **სც-2** ქვეჯგუფის დაკავებულობის ფართობი - **901.5 კვ.მ (25062.2 კვ.მ -ჯამი)**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მოცემული შენობის სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობის ფართობები განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს **მე-5 თავის 503 ცხრილის** მოთხოვნებს.

სიმაღლისა და ფართობის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის, 1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილებიდან** გამომდინარე შენობის თითოეულ სართულს ემსახურება მინიმუმ 2 გასასვლელის გზა-კიბე და გასასვლელის გზა-კარი, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები წესების **1009.3 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე შემოზღუდულია ცეცხლმდეგი კედლებით, ცეცხლმდეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ 3 საათს (გამოყენებულია როგორც სტრუქტურული ელემენტები)

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი შენობის ძირითადი ნაწილის მომსახურე, „12-14“ და “G-J” ღერძებს შორის მდებარე შიგა-გასასვლელის გზა-კიბე, მიწისპირა სართულზე გრძელდება წესების **1027 ქვეთავის** პირველი გამონაკლისის მიხედვით მოწყობილი ლობის გავლით, უკავშირდება შენობიდან გამოსასვლელებს და შემდეგ საზოგადოებრივ სივრცეს შიდა ეზოს გავლით.

საპროექტო შენობის, მეორე, „17-21“ და “G-J” ღერძებს შორის მდებარე შიგა-გასასვლელის გზა-კიბე, მიწისპირა სართულზე უშუალოდ უკავშირდება შენობიდან გამოსასვლელ გზა-კარს, საიდანაც ბაღის გავლით დამკავებლები ხვდებიან საზოგადოებირვ სივრცეში.

საპროექტო შენობას ავტოსადგომის სართულებზე (-6.50 და -3.50 ნიშნულები) დამატებით ემსახურება მე-3 შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც მდებარეობს „1-2“ და “C-D” ღერძებს შორის და უშუალოდ უკავშირდება საზოაგდოებრივ სივრცეს შიდა ეზოს გავლით.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მიწის დონის ქვედა სართულებზე, -6.50 და -3.50 ნიშნულებზე არსებულ დაკავებულობას **(სწ-2)** სართულის დაკავებულობის დატვირთვიდან (**189** დამკავებელი) და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილიდან **(47 მეტრი)** ემსახურება **3** შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2 ქვეთავის** და **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლელების რაოდენობასა და განლაგებასთან დაკავშირებით.

მიწისპირა სართულზე **(0.00 ნიშნული)** განთავსებულ საქმიან **(სქ)**, თავშეყრის **(თვ-3)** და სასაწყობო **(სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობებს ინდივიდუალურად ემსახურება გასასვლელის გზა-კარები, კერძოდ

- ლობი, მიმღები (თვ-3) – **70 დამკავებელი - 2** გასასვლელის გზა-კარი.
- საოფისე ფართობი №1 (სქ)– **5 დამკავებელი - 1** გასასვლელის გზა-კარი.
- საოფისე ფართობი №4 (სქ)– **17 დამკავებელი - 2** გასასვლელის გზა-კარი.
- ხანძრის მართვის ცენტრი (სქ)– **5 დამკავებელი - 1** გასასვლელის გზა-კარი.
- სტომატოლოგიური კლინიკა (სქ) – **24 დამკავებელი -3** გასასვლელის გზა-კარი.
- ნაგვის ოთახი (სწ-1) - **1 დამკავებელი - 1** გასასვლელის გზა-კარი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით +/-0,00 ნიშნულზე განთავსებული დაკავებულობების გასასვლელები აკმაყოფილებს წესების **2021.2(2) ცხრილის** და **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლელების რაოდენობასა და განლაგებასთან დაკავშირებით.

სანებართვო დოკუმენტაციით წარმოდგენილ **+2.96 ნიშნულზე, „20-23“ და “D`-N” ღერძებს შორის, ასევე „10-17“ და “A`-F`” ღერძებს შორის მდებარე საოფისე,** საქმიანი ჯგუფის დაკავებულობებს, წესების **1021.2(2) ცხრილის** მოთხოვნების მიხედვით, ემსახურება თითო გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე.

+6.00_+95.10 ნიშნულებზე მდებარე სართულებისთვის გასასვლელ საშუალებებად განსაზღვრულია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, როგორც უკვე აღინიშნა, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით, კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუ 3 საათს (გამოყენებულია როგორც სტრუქტურული ელემენტები) და აკმაყოფილებს წესების **1009.3.1.1 ქვეთავით** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შიგა-გასასვლელის გზა-კიბეები აკმაყოფილებს წესების **403.5.1 ქვეთავის** მოთხოვნებს შიგა-გასასვლელის გზა კიბეების დაშორებულობასთან დაკავშირებით და **403.5.4 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლელბის კვამლგაუმტარ შემომზღუდავებთან დაკავშირებით.

წესების **403** და **903 ქვეთავების** მოთხოვნებიდან გამომდინარე შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით **(გარდა საცხოვრებელი ერთეულებისა, რომლებიც მდებარეობს +6.00_+81.90 ნიშნულებზე განთავსებულ სართულებზე)** და გააჩნია ორზე მეტი გასასვლელი. წესების **ქვეთავი 1016-სა და ცხრილი 1016.2-ის** მიხედვით გასასვლელთან მისადგომი

მაქსიმლური სავალი მანძილი დაშვებულია **120** მეტრი **სწ-2** და **სწ-1** ჯგუფის დაკავებულობისთვის, **90** მეტრი **სქ** ჯგუფის დაკავებულობისთვის და **60-75** - **თვ-3 და სც-2** ქვეჯგუფების დაკავებულობებისთვის. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილები დაცულია და შეესაბამება წესების მოთხოვნებს.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია წესების **1018 ქვეთავის** მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმუმ 3 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს (დერეფნის კედლები გამოყენებულია, როგორც სტრუქტურული ელემენტები), გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად, ყველა მათგანი აკამაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

გასასვლელები გრძელდება **1027 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

